

ადმინისტრაციული ხელშეკრულება, როგორც საჯაროსამართლებრივი
უფლებამოსილებების განხორციელების მექანიზმი და მისი ძირითადი გამოწვევები

ნინო ფიცხელაური

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების
მოთხოვნების შესაბამისად*

სამართლის სკოლა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ილია წიკლაური (ასოცირებული პროფესორი, სამართლის
მეცნიერებათა დოქტორი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან/და დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო ფიცხელაური

2021 წელი

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია საჯარო სამართლის ერთ-ერთ დარგის ადმინისტრაციული სამართლისა და მისი მნიშვნელოვანი ნაწილის ადმინისტრაციული ხელშეკრულების, როგორც საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებების განხორციელების მექანიზმის ანალიზი და თავისებურებები. აღსანიშნავია, რომ აქტუალური და მნიშვნელოვანია ადმინისტრაციული სამართლის სრულყოფილად ჩამოყალიბება ქვეყნისთვის, რადგან დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ადმინისტრაციული სამართლის განვითარებას. მისი საშუალებით წესრიგდება სახელისუფლებო ორგანოების ურთიერთობები და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები. ძირითადი აქცენტი გამახვილებულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ადმინისტრაციული ხელშეკრულებების სამართლებრივ ბუნებაზე, საჯაროსამართლებრივი ხელშეკრულების მიზანსა და საგანზე, ვინ შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების მხარეები და რა ძირითადი გამოწვევები არსებობს საჯაროსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას. მიმოხილულია ადმინისტრაციული სამართლის აქტუალურობა, მნიშვნელობა, ამასთანავე წარმოდგენილია რამდენიმე ქვეყნის ადმინისტრაციული სამართლის თავისებურებები, თუ როგორ მოქმედებენ ადმინისტრაციული ორგანოები ხელშეკრულების დადებისას და როგორ გამოიყენებენ საჯაროსამართლებრივ ხელშეკრულებებს თავიანთ სამართლებრივ საქმიანობაში. ნაშრომში ყურადღება ექცევა სამოსამართლო საქმიანობას, თუ როგორ განმარტავენ მოსამართლეები საჯაროსამართლებრივ ხელშეკრულებებს და როგორი პრაქტიკაა დანერგილი ადმინისტრაციულ სახელშეკრულებო დავების წარმოებისას.

ნაშრომის მიზანია, ნათლად წარმოაჩინოს ის ძირეული საკითხები, რაც საჯაროსამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებობს, ასევე ერთიანობაში წარმოდგენილ იქნეს, თუ რას წარმოადგენს ადმინისტრაციული

სამართლის სფერო, მოხდეს შედარება სხვა ქვეყნების ადმინისტრაციულ სამართალთან და ასევე ნათელი გახდეს, თუ რა პრობლემები და ხარვეზებია საქართველოს კანონმდებლობაში.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ადმინისტრაციული სამართალი, ადმინისტრაციული ხელშეკრულება, საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილება, ადმინისტრაციული ორგანო.

ABSTRACT

The present paper discusses the analysis and peculiarities of one of the fields of Public Law - Administrative law and its important part - administrative contract as a mechanism for exercising public powers. It should be noted that the complete establishment of administrative law for the country is urgent and important as long as the development of administrative law has great importance for the existence of a democratic state, through which the relations of government bodies and other important factors are regulated. The main focus is accented on the legal nature of administrative contracts concluded by an administrative body, on the purpose and subject of the public law contract, who can be a party to an administrative contract, and what are the main challenges in concluding a public law contract. The paper reviews the urgency, importance of administrative law, moreover, the peculiarities of the administrative law of several countries are presented, whether administrative bodies act upon the conclusion of a contract and how they use public law contracts in their legal work. The paper focuses on judicial litigation, how judges interpret public law contracts, and what practices are established in the proceedings of administrative contract litigation.

The purpose of the paper is to clearly present the fundamental issues existing in relation to a public law contract. It also commonly represents the subject of administrative law, compares it with the administrative law of other countries, and also makes clear what are the problems and shortcomings in the legislation of Georgia.

Keywords: administrative law, administrative contract, public authority, administrative body.